ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

# დედა ენა

პირველი ნაწილი.

## ქართული ანბანი

პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერით და დედნით

შესწორებული გამოცემა.



შედგენილი

**იაკობ გოგებაშვილი მიერ.**

მეორმოცე და ერთე გამოცემა, მრავალი სურათით.

ტფილისი.
საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის სტამბა.
1919

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა ენა

პირველი ნაწილი.

## ქართული ანბანი

პატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერით და დედნით.

შესწორებული გამოცემა.



შედგენილი

იაკობ გოგებაშვილის მიერ.

მეორმოც და ერთე გამოცემა, მრავალი სურათით.

ტფილისი
საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის სტამბა.
1919





ეროვნული ბიბლიოთეკა



ია

ი ა

ია აი

აი ია








თითი

თათი

თი თი

თ [illegible] თ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ

| | |
|---|---|
| ა-თი | თა-თი |
| თი-თა | თი-თი |

აი ია. აი თითი. აი თათი. აი თითა.

ათი ია. ათი თათი. ათი თითი.





საათი



თასი

სა ა თი

ს ა ა თ ი

ს

| | | |
|---|---|---|
| ის | სა-სა | თა-სი |
| ი-სა | ა-სი | სია |

აი სასა. აი საათი. ათი სასა. აი თასი.

ათი საათი. აი ათი საათი. ის თასია.



ეროვნული ბიბლიოთეკა



თხა

თ ხ ა

ხ

| | |
|---|---|
| ახ | თიხა |
| ასი | თხა |
| ხა-ხა | ა-ხი-ა |

აი თიხა. აი თხა. ათი თხა. აი ხახა. ათი ხახა. ასი ხახა. ათი საათი. აი ასი თხა. ის თიხის თასია






თოხი

თო ხი

თ ო ხ ი

ო

| | | | |
|---|---|---|---|
| ო-სი | თითო | სი-სო | თო-ხი |
| სი-ო | სო-სო | ოთ-ხი | ო-თა-ხი |

აი თოხი. ათი თოხი. ოთხი თოხი. აი სოსო. აი თათი. აი თასი. ოთხი ოსი. ათი ოსი. აი ოთახი. ოთხი ოთახი. ათი ოთახი. აი ათი თხა.

ო ოთახი



ხე

ხ ე

ე

| | |
|---|---|
| ეს | ხე-ხე |
| ე-სა | სა-ხე |
| ა-სე | თე-სე |
| ხე | სე-სე |

ეს ხეა. ის სესეა. ეს თოხია. აი სოსო. ათი ხე. ასი ხე. ოთხი ხე. ასე თესე. აი სესეს სახე. თასი ასე ხეხე.

ე სათესი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უთო

უ თო

უ თ ო

უ

| | | | |
|---|---|---|---|
| სუ | თუ-თა | თი-ხა | უთი-თო |
| თუ | ხუ-თი | უ-თო | უ-სა-ხო |

ეს თუთაა. ის უთოა. ის უსახოა. აი ხუთი თითი. აი ხუთი უთო. აი ათი თუთის ხე. ოთხი ხე. სუ, სესე.





მუა

მუ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ა
მ

| | |
|---|---|
| მე | მუ-მუ |
| მ-ია | თემო |
| მი-მა | სი-მე |

ხუთი მუა. ხუთი სიმე. ხუთი მიმა. ოთხი მია. ათი მე. აი მიმის მუმუ. ეს თემოა. ის თუთაა. აი სესეს სიმე. ეს სი-სოს მიაა.





მუხა
მუ ხა
მ უ ხ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ

| | | |
|---|---|---|
| მე | მა-ხე | ხა-მი |
| უ-მი | სა-მი | მი-ხა |
| ო-მი | მე-ხი | მო-სე |
| მა-მა | თო-მა | მმა |

მუხა ხეა. მიხა ხამია. მუა მომე. თომა იმახის. ის ხე მუხაა. მამა მიმახის. ეს თუთა ისხამს. მამას მახე მიე. სიმე მიხას უმახის. მოსე თომას მიაა.







მაშა

შეშა

მა შა

მ ა შ ა

შ

| | | | |
|---|---|---|---|
| ში-ო | შეშა | ხა-ში | შუ-შა |
| მუ-შა | ში-ში | შო-თი | შო-ში-ა |

აი შუშა. შოშია იმახის. მიხას შუშა მიე. თომა შიოს მმაა. მიხა შიოს უმახის: შიო, ოთახში შემო, შოთი მაშოს მიე.





სოკო



კუ

სო კო

ს ო კ ო

კ

| | |
|---|---|
| კუ | სუ-კი |
| კო-კა | კომ-ში |
| კა-მა | |
| თო-კი | მი-ხა-კი |

ხუთი სოსო. ათი კომში. სამი კოკა. მაიკო იმახის. თოკი კეკეს მიე. აი კეკეს კომში. თასში ათი სოკოა, სამი მაიკოს მიე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ო ფო ფი

ო ფ ო ფ ი

ფ

| | | |
|---|---|---|
| ფა-ფა | ფე-ხი | თო-ფი |
| ფე-ფე | ფი-სი | კაფ-ვა |
| მე-ფე | ფა-სი | სო-ფი-ო |
| მა-ფი | კე-ფა | ხი-ფა-თი |

თოფი მათხოვე. მამიას ფაფა მიე. ოფოფი იძახის. მიმას მაფი მივე. ფეფეს ფეხი უსივს. ეს თოფი იაფია. მიხა ხესა კაფავს. ვასო იძახის: სოფიო, ოთახში შემო, შავი მაფი მომე.





აკვანი



ნავი

აკ ვა ნი

ა კ ვ ა ნ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნ

| | | |
|---|---|---|
| ნა-ვი | ნუ-ში | ვე-ნა-ხი |
| ფო-ნი | ფი-ნი-ა | მონ-მი |
| ნე-კი | კა-ნა-ფი | თოხ-ნა |
| თო-ნე | ნემსი | ნავ-თი |

ეს ნუში კუხეა. თოხით თოხნიან. კაკანი ისმის. ნეკი თითია. ნავთი აინთო. ვანოს ვენახში ხმინავს. ეს კანაფის მაფია. აი მუხის ნავი. აი კაი ფონი. მამა ვენახსა თოხნის. ნიკო ვანოს უმახის: ვანო, ეს კანაფი მამას მიე.







თევზი

კოვზი

თევ ზი

თ ე ვ ზ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვა-ზი | ნა-ზი | კოვ-ზი | კო-ზა-კი |
| ხა-ზი | ზო-მა | ზუ-თხი | მზი-ა-ნი |
| ზე-თი | კუ-ზი | ზვა-ვი | |

ზუთხი თევზია. ხის კოვზი იაფია. შოშია ხეზე ზის. ნაზი სოფიო ეზოში სკამზე ზის. მისი ძმა თამაზა თოკით ეზოს ზომავს. ზევით ნინოს სძინავს.





რკო



ვირი



ურემი

უ რე მი

უ რ ე მ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რ

| | | |
|---|---|---|
| სუ-რა | რკო | ფა-ფა-რი |
| ნა-რი | ხა-რა-ზი | კრუ-ხი |
| ზა-რი | ვა-რია | ავ-შა-რა |
| სუფ-რა | მრო-ხა | სარ-მე-ვე |

სარი ხისაა. მამამ ვენახი შესარა. ვა-რია ხეზე ზის. ნიკოს ავშარა ათხოვე. ზარის ხმა ისმის. კირი შავია თუ თეთ-რი? ეს ფაფარი კი არა, მუაა.





კამეჩი



ჩოხა

კა მე ჩი

კ ა მ ე ჩ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩ

| | | |
|---|---|---|
| ჩო-ხა | ფარ-ჩა | ჩარ-ხი |
| ჩი-რი | ჩა-მი-ჩი | ჩარ-ჩო |
| ჩი-თი | | |
| ფუ-ჩე-ჩი | თახ-ჩა | ჩო-ჩო-რი |

ჩითი ჩაიხა. ფუჩეჩი შეხმა. ჩემი ძმა ჩუმია. შორს მუხა მოსჩანს. ზუთხი თახჩაში შეინახე. ეს ჩითი ჩემია. ის ჩამიჩი შენია. კამეჩი ფუჩეჩთან არის. ჩოჩორი სძოვს. თინამ სიმონს ჩანახი სთხოვა, სიმონმა მაშინვე ათხოვა.





დანა



ხიდი

და ნა

დ ა ნ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ

| | | |
|---|---|---|
| დო-ში | ფარ-და | ნა-დი-რი |
| და-ნა | დათ-ვი | სი-მინ-დი |
| დე-ზი | შინ-დი | და-თი-კო |
| კუ-დი | ჩად-რი | მდი-ნა-რე |

დედა მიდის. მამა მოდის. დეიდა ვნახე. ნინო ჩემი მამიდაა. მამიდას სძინავს. დათვი დიდი ნადირია. რიონი მდინარეა. სიმინდი ვანომ სთოხნა. დეიდა და დედა მოდიან.





ღამურა



ღორი

ღა მუ რა

ღ ა მ უ რ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ

| | | |
|---|---|---|
| ღა-რი | კო-ღო | ღვი-ნო |
| თა-ღი | ღო-ნე | ფუ-ღუ-რო |
| და-ღი | ღვე-დი | დღე-და-ღა-მე |

ღარი აიღე. ღომი ვაკეზე დათესე. კამეჩი ღონიერია. კოღო კამეჩს თავზე აზის. აი სიმინდის ღერო. ძროხის რძე ადუღდა. ღამურა ღამით დაფრინავს. ადამიანს ღამით სძინავს, დღისით ღვიძავს.









კურდღელი ხელი საჩეჩელი

კურ დღე ლი

კ უ რ დ ღ ე ლ ი

ლ

| | | | |
|---|---|---|---|
| კა-ლო | ზა-ა-ლი | მე-ლა-ნი | თოვ-ლი |
| ლა-ფი | თვა-ლი | ხე-ლე-ჩო | უ-ღე-ლი |
| ლო-მი | დე-და-ლი | ლა-ვა-ში | სა-ჩე-ჩე-ლი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელანი შავია. თოვლი თეთრია. ლავაში თხელია. ხელეჩო იარაღია. ლომი ძლიერი ნადირია. თოვლი ზამთარში მოდის.



ლომი



## სკოლისკენ

დილით ადრე ვანო სკოლისაკენ მიდიოდა. ვანომ დაინახა ნიკო სკოლაში მიმავალი და დაუძახა: „ნიკო, მალე მივიდეთ სკოლაში“.

ვანო და ნიკო ადრე მივიდნენ სკოლაში.



ქათამი



რქა

ქა თა მი

ქ ა თ ა მ ი

ქ

| | | |
|---|---|---|
| ქა-ფი | შა-ქა-რი | ქინ-ძი |
| ზა-ქი | ქო-თა-ნი | ქა-ღალ-დი |
| ქო-რი | და-ლა-ქი | ქაფ-ქი-რი |
| კა-რა-ქი | ქუ-ხი-ლი | ქა-რ-ქა-ში |

ქაფი მოხადე. დალაქი ხელოსანია. ქორს ქათამი მოუკლავს. ქუთაისი ქალაქია. ქოთანს სარქველი დახურე. შორიდან ქუხილი მოისმის. ქჩალი ექიმთან მივიდა.





ნამგალი



გუთანი

ნამ გა ლი

ნ ა მ გ ა ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ

| | | |
|---|---|---|
| გა-ზი. | გუ-გუ-ლი. | ქოლ-გა. |
| გო-რი. | ნა-გა-ვი. | ხა-ფან-გი. |
| გი-გო. | ლა-გა-მი. | |
| გუ-თა-ნი. | უ-ზან-გი. | ფარ-და-გი. |

გუთანი გამართე. ქოლგა გაშალე. ნამგალი კარგად გალესე. სახლი კარგად დაგავე. თაგვს ხაფანგი დაუგე. გუგული ლამაზი ფრინველია. გუთანი ღრმად ხნავს. გორი ქალაქია. დედამ გიგოს ხის ჩრდილში ფარდაგი გააშლევინა. მამამ გუთანი გამართა, ხვნას შეუდგა, გიგო საშველად მივიდა, ხარ-კამეჩს გვერდში ამოუდგა და სახრით გარეკა.





ბუდე



ღობე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუ დე

ბ უ დ ე

ბ

| | | |
|---|---|---|
| ბე-ბი-ა. | ნა-ბა-დი | ბუჩ-ქი. |
| ბა-გა. | ხო-ხო-ბი. | ბალ-ბა. |
| გუ-ბე. | ბუხა-რი. | ბულ-ბუ-ლი. |
| ლობიო. | ბლა-ვი-ლი. | გა-ლო-ბა. |

ობობა ქსელს აბამს. დიდი გუბე დადგა. ბულბული მშვენივრად გალობს. ბაღში ბევრი ხეხილია. ძერა დიდი ფრინველია. ბალბა ბალახია. ბებია კარგ გუნებაზეა.



ობობა



## ბულბული.

ბაღიდან ბულბულის საამური გალობა ისმოდა. ბავშვებმა მახე დაუგეს. ბულბული მახეში გაება. ბავშვებმა ბულბული გალიაში ჩასვეს. ბულბული დაღონდა, არ გალობდა. გაუღეს გალიის კარი და გაუშვეს. ბულბული გაფრინდა და მხიარული გალობა მორთო.



ბულბული.



პეპელა



სპილო

პე პე ლა

პ ე პ ე ლ ა

პ

| | |
|---|---|
| პი-რი. | პრა-სა. |
| პუ-რი. | აპრი-ლი. |
| სა-პო-ნი. | პერან-გი. |
| ნი-კა-პი. | აპე-ური. |
| ნა-პირი. | პილ-პი-ლი. |

შეშა დააპე. საპონი აქაფდა. პირი საპნით დაიბანე. პეპელა პრასაზე ზის. ლექსები კარგად გაიზეპირე. ხარები ურემში შეაბი. აპრილი და მაისი გაზაფხულის თვეებია.





ბაყაყი



ყური

ბა ყა ყი

ბ ა ყ ა ყ ი

ყ

| | | |
|---|---|---|
| ყა-ნა | გა-ყო-ფა | ყო-რა-ნი |
| ყა-ვა. | მა-ყვა-ლი | საპ-ყა-რი |
| ყა-ყა-ჩო. | ყი-ნუ-ლი | |

ყაყაჩო ლამაზი ყვავილია. ყაყაჩოს ყანა დაუმშვენებია, ვანოსა კარგის კითხვითა დედა გაუხარებია. მამალი ყივის. ბაყაყი ყიყინებს. აი დიდი ყანა. პაპამ ქოლგა იყიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამალი.

მამალი სულ ყიყლიყო-ყიყლიყოს" გაიძახოდა.

ერთხელ უთხრეს: ,,ერთი კარგი რამ დაი-მახეო!"

მამალმა უპასუხა: ,,მამლის ხელობა ეს არის, ბულბულივით გალობა რომ შემეძლოს, მაშინ ხომ ბულბულს დამიძახებდნენო".



მამალი



საცერი



კვერცხი



მერცხალი

მ ე რ ც ხ ა ლ ი

ც

| | |
|---|---|
| ცო-მი | ცხვი-რი |
| ცერ-ცვი | მცხე-თა |
| სა-ცე-რი | ცხე-ლი |
| ვერცხ-ლი | ცივ-ცი-ვი |
| ცხვარი | ცოც-ხი |

# მერცხალი



მერცხლებმა დერეფნის კუთხეში ბუდე გაიკეთეს. დედა-მერცხალმა ბუდეში კვერცხები ჩასდო და შვილები გამოსჩეკა. მერცხლები შვილებს უზიდავდნენ კალიებს, ბუზებს, პეპელებს და ასაზრდოებდნენ. მალე შვილები დააფრინეს. შვილები მხიარულად აქეთ-იქით დაფრინავდნენ და თავისთვის საზრდოს თვითონ შოულობდნენ.





ქოჩორა ტოროლა



მაკრატელი

ტო რო ლა

ტ ო რ ო ლ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ტ

| | |
|---|---|
| მუშ-ტი | კომ-ბოს-ტო |
| კიტ-რი | მტე-ვა-ნი |
| ბოს-ტა-ნი | ღა-ტა-კი |
| ბატ-კა-ნი | ტიკ-ტი-კი |
| ტა-ბი-კი | ტი-რი-ფი |
| ტა-მა-რი | ნა-ფო-ტი |



## პატარა მკერავი



მაროს უნდოდა თავის დედოფალასათვის კაბა შეეკერა. დედამ მისცა ნემსი, მაფი, მაკრატელი და ჩითი. კერვაში მაროს თითები დაიჩხვლიტა, მაგრამ კაბა მაინც შეკერა. მაროს უხაროდა, რომ თავის დედოფალას კაბა თვითონ შეუკერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აბუზული წიწილა სდგას



სასწორი



რწყილი

## წ

წიწილა წივის. წიწაკა მწარეა. წიწმატი მწვანილია. წიწილებს ყვავები იტაცებენ. წაბლი შემოდგომაზე მწიფდება. წურბელა წყალში სცხოვრობს. ქინაქინა ციების წამალია. ჭეჭელა ტკბილი წვენით იკვებება.



## ხალხური ლექსი



ერთმა კაცმა ქორწილი ქნა
ფეხ-დამწვარი წიწილითა,
თაგვი მაყრულს ეუბნება,
კატა კვდება სიცილითა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოცანა

შავი არის შაშვივითა,
იბზინება მაღლივითა,
პატრონს მილში ათამაშებს
ქამანჩა და სტვირივითა.

დასწერეთ რა და რა არის აქ დახატული:





კაჭკაჭი ტოტზე ზის



ჭა

## ჭ

ჭრიჭინა ჭრიჭინებს. კაჭკაჭი ჩხავის. ჭიანჭველას შრომა უყვარს. ჭილობს ჭი-

ლისას ქსოვენ. საქონელს ნალბანდი სჭედს.
მაღალი ლერწამი ჭაობში იზრდება.

## კაჭკაჭი და კრუხი

კაჭკაჭი ხის ტოტზე ესკუპა. იქვე ახლო წიწილები ნაკავს ქექდნენ. კაჭკაჭი ჩამოფრინდა ხიდან და ერთ წიწილას



დააცხრა. კრუხი გაექანა და კაჭკაჭს მივარდა, ნისკარტი თვალში ჩასცხო და დაუშავა. ვერც წიწილა წაიღო კაჭკაჭმა და ცალი თვალითაც დაბრმავდა.



ჯარა მიწაზე დგას



ჯაჭვი

ჯ

ჯონჯოლი საჭმელია. ფინჯანი ჩაის ჭურჭელია. ჯეჯილი ღაღანებს. ფუტკარი გამრჯელი მწერია. ხიდი ბურჯებზედ აბ-ჯენია. მუნჯს ლაპარაკი არ შეუძლია.



## სანდრო და ნიკო

ორი ყმაწვილი, სანდრო და ნიკო მდინარის პირად თამაშობდნენ. სანდროს ფეხი დაუსხლტა და მდინარეში ჩავარდა; ცურვა არ იცოდა, ყვირილი მორთო—მიშველეთო. ნიკომ გძელი ჯოხი გაუწოდა, ნაპირს გამოიყვანა და თავისი ამხანაგი დარჩობას გადაარჩინა.

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოცანა

ერთი თხა მყავდა ელაო,
ზურგზედ ეკიდა ენაო,
მისი სიტყვა და პასუხი
ქვეყანამ დაიჯერაო.

დასწერეთ რა და რა არის აქ დახატული:





ვაჟი ზის და სწერს.

## ჟ

ირაჟრაჟა. მჟაუნა მჟავეა. ჟუჟუნა წვიმა მაისში იცის. ჩიტები ტყეში ჟივჟივობენ. ჟანგი რკინეულობას აფუჭებს. დაბეჟილი ხილი მალე ლპება. კრიჟანგს ფული გაგიჟებით უყვარს. ფრინველები ბევრს ჭია-მატლს ჟლეტენ და მოსავალს ხელს უწყობენ.



## ნუცას სკოლა.



პატარა ნუცამა სთქვა: მოდი ჩემს დედოფლებს კითხვას ვასწავლიო. გადუშალა წიგნი და ეუბნებოდა: ეს ანია, ეს ბანია, გენაცვა, ისწავლეთო.

ისწავლიდნენ დედოფლები კითხვასა, თუ ვერა?

ეროვნული ბიბლიოთეკა



საათი კედელზე ჰკიდია

ჰ

**მოთხრობა:** ძაღლი ჰყეფს. მონადირემ ირემი მოჰკლა. ქარი ჰქრის. ბაღში სუფთა ჰაერია. თამროს ჭრელი კაბა ჰქონდა. ნიკო მამას ჰგავს. ქეთომ ქორს ჰაუ, ჰაუ შეუძახა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვანო და ჩიტი

ერთხელ პატარა ვანომ ჩიტი დაიჭირა. საწყალი ჩიტი ვანოს ხელში ძლიერ იტანჯებოდა. მაგრამ ვანოს არ ებრა-



ლებოდა. კეკემ დაინახა, გამოართვა ჩიტი და გაუშვა. ვანომ ღრიალი მორთო, მაგრამ არავინ შეიბრალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სრული ანბანი რიგზედ

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ
რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ.

ამ ასოების გარდა ძველს ქართულს წიგნებში და ზოგიერთს ახლებშიაც იხმარება შემდეგი მომატებული ასოები: ჱ, გამოითქმის როგორც ჰე, ჲ—ჰი, ჳ—ვი, ჴი, ჵ—ჰო.



| | | |
|---|---|---|
| ერთი | 1 | 1 |
| ორი | 2 | 2 |
| სამი | 3 | 3 |
| ოთხი | 4 | 4 |
| ხუთი | 5 | 5 |



| | | |
|---|---|---|
| ექვსი | 6 | 6 |
| შვიდი | 7 | 7 |
| რვა | 8 | 8 |
| ცხრა | 9 | 9 |
| ათი | 10 | 10 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 20 | 30 | 40 | 50 | 60 | 70 | 80 | 90 |

მაწონი მყავდა. მა-
ჭარი ტკბილია. ცი-
ხე შიგნითგან ვატყ-
დება. კვიცი გვარ-
ზედ ჰხტის. ჩათრე-
ვას ჩაყოლა სჯობი-
ან. ძაღლი ჰყეფს, ქა-
რავანი მიდის. ვან-
დური მეწყინება და
არ მეტკინება. ჭაჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწერეთ რა და რა არის აქ დახატული?



ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწერეთ რა და რა არის აქ დახატული?



# პირველი საკითხავი ანბანის შემდეგ

## სკოლისკენ

მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა!
დილა არის მშვენიერი!
აბა, ბიჭო, ტანს ჩავიცვათ
და სკოლისკენ ჭერი! ჭერი!

—

სამუშაოდ ეშურება
დიდ-პატარა, ფრინველ-მწერი!
აბა, მარდად, ჩვენც წიგნებით
სკოლისაკენ—ჭერი! ჭერი!..

## ია და მარო

პატარა მარო სკოლაში დადიოდა. ერთხელ მასწავლებელმა ბავშვებს ია უჩვენა. მარო იას კარგად იცნობდა: მის ბაღჩაში იყო ამოსული. საუბრის შემდეგ მარომ, რაც მოისმინა, ამხანაგებს დალაგებით ესე უამბო: ,,ია ყვავილია. იას ყვავილი ზევით ელორტზე ასხია. იის ყვავილი ცისფერია, ნაზი და საამური სუნი უდის. იას აქვს



მიწაში ფესვები. ფესვებზე ღეროა ამოსული, ღეროს მწვანე ფოთლები ასხია. ია ყვავდება გაზაფხულის დამდეგს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხური ლექსი



ყაყაჩო

ბაღჩაშია გადვიხედე,
გადმიპატიჟა იამა,
ყაყაჩო აყვავებულა,
ვარდი გაშლილა, მიამა.



ვარდი

# ბ უ დ ე

პატარა მიხა სკოლიდან შინ მიდიოდა. ერთს ბუჩქზე ჩიტის ბუდე დაინახა. ბუდე მორგვალო იყო. ჯამსა ჰგავდა. ბუდეში ოთხი ბარტყი იყო. ბარტყებს პირი დაღებული ჰქონდათ, საჭმელს ელოდნენ. დედისკენ იცქირებოდნენ. დედა ჩიტი მოფრინდა, ნისკარტით მატლი მოიტანა და უნდოდა ბარტყისთვის პირში ჩაედო. მიხას მშიერი ბარტყები შეეცოდა. ეს ყველაფერი მიხამ მეორე დღეს თავის ამხანაგებს უამბო.



# ბუდის ჩადგმა (ხალხური ლექსი)

თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო
სამირკველი დადგაო.

## ჩიტი და ვანო (მოთხრობა)

სოფელზე მივდიოდი. დავინახე პატარა ვანო. ბეღურა ჩიტი ხელში ეჭირა. ვანოს ძალიან უხაროდა, ჩიტს კი გული უკვდებოდა.

ცოტა ხანს შემდეგ უკან გამოვიარე. ვანო მწარედ სტიროდა, ჩიტი კი მახლობელს ხეზე მხიარულად ჭიკჭიკობდა.

## მერცხლის სიმღერა



დავჩეკე წვრილი ბარტყები,
დამეზრდებიან მალეო;
იფრენენ, იჭიკჭიკებენ
ლაღად დღესა და ხვალეო.

კატავ, შე ამოსაგდებო,
ცოტა ხანს დამაცალეო!..
რა გინდა, რას მეპარები?
დედა ვარ—შემიბრალეო!



## ჩიტი და მელა (ხალხური)

ერთმა მშუნაგმა მელამ ჩიტის ბუდეს მიაგნო და დედა-ჩიტს შესძახა:

ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
—რაო, ბატონო მელაო?
ერთი ბარტყი გადმომიგდე,
თორემ შავს დღეს დაგაყენებ:
ცულდს მოვიტან, ცუნდულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

მწარედ დაღონდა ჩიორა. ბედად, სწორედ ამ დროს გაჩნდა კეთილი სანდალა, დასჭყივლა მელას, შეაშინა და გადაკარგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზამთარი



დაგვიზამთრდა. მინდორ-ველზე
გადიშალა თეთრად თოვლი,
ცივა, ყველა მინაბულა,
ბუხრებიდან ადის კომლი.

—

სადღა არის გაზაფხულის
მშვენიერი ტურფა დილა?!
თეთრ საბნის ქვეშ გაყინული
არე-მარე დაღვრემილა!

# თითები

(ზღაპარი)

ადამიანს ხელის თითები თანასწორი ჰქონდა.

ერთხელ თითებმა ბაასი გამართეს. ცერმა სთქვა: ,,ვჭამოთო'', სალოკმა თითმა—,,რა ვჭამოთო?'' შუათითმა—,,რაც ღმერთმა მოგვცეს და ჩვენი ნაშრომი იყოსო''. არა-თითმა— ,,რომ არ მოგვცესო?'' ნეკმა მიუგო—,,მოვიპაროთო''.




ამის შემდეგ თითები უთანასწორონი შეიქნენ. ცერი დამოკლდა და გაიბერა, რადგანაც მუდამ ჭამა ახსოვდა. ნეკი დაპატარავდა, რადგანაც ქურდობა მოიწადინა. მხოლოდ შუა თითი ამაღლდა, დაგძელდა და ყველა თითებს მაღლიდან დაჰყურებს. ეს იმიტომ, რომ მან მოინდომა თავისი შრომით ცხოვრება და არა სხვისი ნაოფლარით,

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ხალხური სიმღერა.

მოდი ვნახო ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;
მიველ, ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი ვნახო თხაო, რამ შეჭამა თხაო;
მიველ, ვნახე თხაო, მგელმა ჭამა თხაო.
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო მგელი, რამ შეჭამა მგელი;
მიველ, ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი;
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო თოფი, რამ შეჭამა თოფი.
მიველ, ვნახე თოფი, ჟანგმა ჭამა თოფი.
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო ჟანგი, რამ შეჭამა ჟანგი;
მიველ, ვნახე ჟანგი, მიწამ ჭამა ჟანგი.
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.



მოდი ვნახო მიწა, რამ შეჭამა მიწა;
მიველ, ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი ვნახო თაგვი, რამ შეჭამა თაგვი;
მიველ, ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი.
კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქ ა თ ა მ ი

ერთხელ მასწავლებელმა ჰკითხა ერთს მოწაფეს: ვანოს, ჩამომითვალე რა და რა ფრინველები გყავთ სახლშიო. ვანომ



ჩამოთვალა: იხვი, ბატი, ინდოური, ქათამი. „შინ რომ მიხვიდე,—უთხრა მასწავლებელმა.—კარგათ გასინჯე ქათამი, დაუკვირდი რა და რა ნაწილები აქვს, სხვებსაც გამოჰკითხე ქათმის ამბავი და ხვალ კლასში გვიამბეო“. ვანომ მეორე დღეს მასწავლებელს ასე აუწერა ქათამი:

„ქათამს პატარა თავი აქვს. თავზე ბიბილო აქვს ამოსული. ნისკარტი და კისერი ქათამს მოკლე აქვს. ტანი მომრგვალოა და შემოსილი ბურტყლით. უკან ტანზე ბოლო აქვს ამოსული. ფეხები მაღალი და წვრილი აქვს. ფეხზე ოთხი ფრჩხილი აქვს: სამი წინ და ერთი უკან. ქათამმა კაკანი იცის. ქათმის პატარა შვილს წიწილა ჰქვიან, ქათამი მეტად სასარგებლოა ჩვენთვის“.

# მ ა მ ა ლ ი

მამალო, ფერად ფრთიანო,
აბრეშუმს გიგავს წვერია,
თავზე გადგია გვირგვინი
კოხტა და ოქროს ფერია!



—

ფეხებზე გაკრავს დეზები...
ნეტა, სად მიეშურები?
საომრად ჯარში მიდიხარ,
თუ სამკალი გაქვს პურები?

ადგები სისხამ დილითა,
მოუყვები ყივილ მღერასა
და არ ასვენებ, ძილს უფრთხობ
დიდს და პატარას, ყველასა!

# ოფოფი

ოფოფი სცხოვრობს გარედ, მინდორსა და ტყეში. ამიტომ გარეული ფრინველი ჰქვიან. ოფოფი პატარა ფრინველია. ტანი აქვს წვრილი და მოგრძო, ბოლო გრძელი, თავზე ლამაზი ქოჩორი აქვს. ქოჩორს დაჯდება — გაშლის, აფრინდება—დაჰკეცავს. ნისკარტი აქვს გრძელი და წვრილი. ფერად ოფოფი ჭრელია. ჩვენში მოდის გაზაფხულზე. შემოდგომაზე ისევ თბილს ქვეყნებში მიდის.



დაასახელეთ სხვა გარეული ფრინველებიც.



# გუგული (ხალხური)

რასა დამძახი, გუგულო,
უხმოსა, უსადილოსა;
მაშინ დამძახე, გუგულო,
ყანა რომ დავაგუგუნო

# კაჭკაჭი და ყვავი
(ხალხური)



კაჭკაჭმა, უთხრა ყვავსაო,
ჩავარდი გულის-ხმასაო,
კაცი რომ დაიკუზება,
შენთვის აიღებს ქვასაო.



# კამეჩი

კვირა დღე იყო. მასწავლებელი და მოსწავლენი ჭალაში სასეირნოდ წავიდნენ. აუარებელი საქონელი ხარბათ სძოვდა ნამიან ბალახს. ბავშები მივიდნენ ერთ დიდ კამეჩთან, მასწავლებელმა ჰკითხა ერთს მოწაფეს: ვანო, ახლო მოდი, დააკვირდი ამ ცხოველს და ამიწერეო. ვანომ დაიწყო: „კამეჩი შავია, ხარზე დიდი ტანისაა, ღონეც მეტი აქვს, რქები მოკაუჭებული, ჩლიქები გაყოფილი აქვს, კუდი გძელი აბია. კამეჩის შვილს ზაქი ჰქვიან. კამეჩმა ყროყინი იცის. კამეჩს გუთანსა და ურემში აბმენ და ამუშავებენ. კამეჩი საქონელია“.



მასწავლებელმა პასუხი მოიწონა. შემდეგ მოსწავლეებმა დაათვალიერეს რ ქ ი ა ნ ი, უ რ ქ ო, ჩ ლ ი ქ-გ ა ყ ო ფ ი ლ ი, მ წ ვ ე ლ ი, მ ც ო ხ ნ ა ვ ი, არა მცოხნავი შინაური ცხოველები და მხიარული სიმღერით შინისაკენ დაბრუნდენ.

## კამეჩი (ხალხური)

კამეჩი ღონიერია,
უღელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება, წაიღებს
თავისასა და სხვისასა.

## მკვეხარა კამეჩი (ხალხური)

კამეჩსა ჰკითხეს: რატომ სირბილი არ იციო?—როგორ არ ვიციო,—უპასუხა: ისე მოვკურცხლავდი, შავარდენიც ვერ მომეწეოდა, მაგრამ ქვეყანა მებრალება: ვაი თუ ჩემმა სიმძიმემ მთლად დააქციოსო.

**ანდაზა:** კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი არა იყო-რა.

# დილა



ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადაჰხვევოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.



ტოროლა მაღლა-ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:



„აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო".

# კურდღელი

კურდღელი ცხოვრობს გარეთ, ტყესა და მინდორში. ამიტომ გარეული ცხოველი, ანუ ნადირი ჰქვიან. ტანი კურდღელს მწევარივით გრძელი აქვს. მისი წინა ტანი უფრო მსხვილია, უკანა ტანი უფრო წვრილი. წინა ფეხები მოკლე აქვს, უკანა ფეხები გრძელი. ყურები გრძელი და აცქვეტილი აქვს. კურდღელმა მარტო სირბილი იცის. კურდღელი ძლიერ მხდა-

ლია, ყველაფრისა ეშინიან. კურდღლის საყვარელი საჭმელი კომბოსტოა. ხორცის ჭამა არ შეუძლიან. კურდღლის შვილს ბაჭია ჰქვიან.

კიდევ რა ნადირი იცით? რომელი ნადირი იკვებება ბალახით და რომელი ხორცით?

## კურდღელი



ერთი შეხედვით კატას ჰგავს,
ყურები აუცქვეტია;
მოშიშარია, ცახცახობს,
მისტის და მისტის... ცეტია!

—

ყანაში მიიპარება,
წუწკი ჯეჯილის მტერია!
გაძღება ტუჩებს გაიწმენდს,
ვითომდა არაფერია!

—

მიწვება, ხელად იძინებს,
თვალები დაუჭყეტია,
თუ ვინმემ ძილი დაუფრთხო,
თავბრუ ეხვევა... რეტია!..

**ანდაზა**. კურდღელმა სთქვა: სანამ გამახტუნებენ, მანამ უფრო მეშინიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და—ძმა

მამამ პატარა სოსოს სათამაშო ცხენი აჩუქა. მარომ სოსოს ცხენს უეცრად ფეხი მოსტეხა.



გაბრაზდა სოსო, მოიღერა მუშტი, მივარდა მაროს და ცემას უპირობდა.

—მე კი გაკოცებო, უთხრა დამშვიდებით დამ ძმას.

სოსო შესდგა, სახე გაუნათლდა, თვალები გაუბრწყინდა და სთქვა:

—მეც გაკოცებო, და მოეხვია დას. გადაკოცნეს ერთმანეთი და უცებ შერიგდნენ.

# მოსიყვარულე ამხანაგი

მინდორში წაველ, სწორებო, მზე წითლად ამოდიოდა,
მე იქ რა გამამძლებინებს, თქვენი ხმა არ მომდიოდა.

# თამაშობა

ბავშვები პატარა რუს ნაპირას თევზაობდენ, მაგრამ ერთი თევზიც ვერ დაიჭირეს. სანდრომ უთხრა თავის დას კეკეს: მოდი, ბორბალი დავატრიალოთო. პატარა ილო შინ გაგზავნეს ბორბლის მოსატანად. სანდრომ და კეკემ მოზიდეს ქვები,

ჩააწყვეს რუში, ამოგლისეს თიხით ქვების შუა ადგილები და დააგუბეს წყალი. კორდის ქვემოთ მიწაში ჩაასვეს ორი ბარჯგი. ბარჯგებზე გაუდეს ბორბლის ღერძის თავები, გადმოუშვეს კორდიდან დაგუბებული წყალი, წყალი ხრიალით დაეშო ქვემოთ, მოხვდა ბორბალს და აატრიალა. ბავშვები იცინოდნენ და მხიარულობდენ.



# მინდორზე

ვინ წინა და ვინ უკანა,
აბა ბიჭო, ჭერი, ჭერი,
მოვკრიფოთ და კონად შევკრათ
ყვავილები ათას ფერი!
მოვიქარგოთ მკერდი, ქუდი,
მერე ბურთი გავკრათ მარდად,
გამოჩნდება, ვინც ბიჭია,
ვინ თამაშობს ჩვენში კარგად!
მაშ, გადვიდეთ ალაყ-მალაყ,
აბა, ბიჭო, ჭერი, ჭერი,
სათამაშოთ გადაგვშლია
ჩვენ მინდორი მშვენიერი,

# კატა და თაგვი



კაკლების თაროს მიაგნო
ჰაწია თაგუნიამა,
ჩააკრატუნა ნიგოზი
ნაჭუჭებიც კი იამა.

—

ამ დროს გამოჩნდა ციცუნა
ცქვიტი, თეთრ ულვაშიანი,
სახტომათ დეზი მომართა,
დეზი ბასრ ბრჭყალებიანი!

—

ისკუპა, უცებ დაეცა,
გაისმა საწყლის წრუწუნი;
შეახრამუნა თაგუნა,
სიამით მორთო კრუტუნი.

# კ ა ტ ა

შუა ღამისას თაგვებს სანთლის მოპარვა უნდოდათ. კატამ გაიგო მათი წრიპინი: აჰხედა მაღლა და ოთხი თაგუნა დაინახა; სთქვა: ერთს მათგანს თავს დავეცემი, მაგრამ რომელსა? აი, იმ მსუქანს, აგერ იმ დიდსა, ის არის ჩემი შესაფერი. ისკუპა, მაგრამ ის მსუქანი-კი ჩრდილი აღმოჩნდა. დარჩა კატა პირ გამშრალი და თანაც თავი ასე იმართლა: იმ პატარას თუმც დავიჭერდი, მაგრამ შრომად არა ღირდა!

# ციცუნა

(ხალხური ლექსი)

ციცუნა წევს და ხრუტუნებს:
სიზმარსა ხედავს ტკბილსაო!
ასი უღელი ვირთაგვა
მაზედ ილესავს კბილსაო!

# კატის ჩივილი

(ხალხური ლექსი)

საწყალი კატა ჩიოდა:
ვაიმე, თემო, ბარკალი!
ქალებმა ერბო შეჭამეს,
მე დამწვეს ალალ-მართალი.

# ათი პატარა მუშა

(დიასახლისის ნაამბობი)

აუარებელი საქმე მაქვს: მთელს ჯალაბობას სმაჭამა, ჩაცმა-დახურვა უნდა; სახლშიაც ყველაფერი დასალაგებელია, მტოხა მოსაწყელი. მაგრამ მყავს ხუთი წყვილი პატარა-პატარა მუშები. ისინი ყველაფერს აკეთებენ, ორი პირველი მუშა ტანად პატარაა, მაგრამ მსუქანი, მოუხეშავი და ღონიერია. შემდეგი ორი მუშა მოგრძოა და მარდი, უმისოთ არც ერთი საქმე არ კეთდება. მესამე წყვილი ტანად ყველაზე მაღალია. ერთი მათგანი რომ თავზე ფოლადის ქუდს ჩამოიფხატავს, ნემსის ჭერა და კერვა არ უძნელდება. დანარჩენი ორი წყვილი მუშებიც ეხმარებიან თავიანთ ძმებს საერთო საქმეში. ეს ჩემი ათი მუშა საჭმელსაც ამზადებს, ართავს, კერავს, რეცხავს, წველის, სწერს და აკეთებს ყოველგვარ საშინაო საქმეს. მე მხოლოდ ვუბრძანებ და ისინიც სამუშაოდ მუდამ მზად არიან.

**ანდაზა:** ბევრი ხელის ჭირიმე და ერთი პირისაო.

დასწერეთ რას ჰხედავთ თითოეულს ამ სურათზედ.



**მაგალითად:** პატარა ქალი კაბას ჰკერავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დასწერეთ, ვინ რას აკეთებს?
(ერთი აზრი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწერეთ, ვინ რას აკეთებს?
(ერთი აზრი)



შეადგინეთ ამ სურათების პატარა მოთხრობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა





რას შვრებიან პატარა ქალები?

სად იყვნენ ბავშვები და რას იჭერდნენ?



სად არიან ბიჭები და რა უნდა მოჰკლან შურდულით?

კარგად იქცევიან ის ბიჭები თუ ცუდად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგინეთ ამ სურათების პატარა მოთხრობები.



რად ჩხუბობდენ ბავშვები? როგორ შეირიგა ბაბრიამ მოჩხუბრები?





რად შეხვდნენ ბაყაყი და ცუგი? გზა მისცეს ერთმანეთს თუ არა?



რად შეეშინდა ცუგას?



რა მოუვიდა ცუგას?



სად ჩაცვივდნენ ორნივე?

მე ჯავახეთს რა მიმავალა,
მთვარე იდგა მზეჭვრიტით, ვალ-
მანძი და ქერის ბევრი ხის
მეფარა მზეჭვრიტით.— მეცხვარე
მეღორის მიმიოთ ვერ გაიგე-
ლებს ხატიშს, თუ გაიგმელებს.
ისანებს, მეცლის გაუკეთებს
ხადიღეს.— თხილის მამა ღმერ-
თია.— ათაშე გვარი და-
ჭაშდა, ათიათაშაღ ზრდი-
ლობა, თუ ვიცი თვითონ არ
არის, ცოდნა გვარიმეფლობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭრცი ჭრცის წამალია. — ხახმალცი-
სათვრს ყოვლე დღე ყმმრ-
ცისყ მივზნიდან ვაჩქდესა. —
წისქვილი ჯეხით აბის. — ჯეხ
მილო, მეხე ხიხმახო. — აოჯეხ
ვახომე, ეხოსეძ მოსჯეხი. —
ფხედოი ვინ მოდალა და მყხ-
ჯმათ. — მალა ალმახოსა ჭხნავს.
ჯამა ქოხეხახე ჭყლოია. — მა-
დლი ჭქეხი, მახილიც მოაფრ-
ხე. — ეხოდმა თავვმა ცხხა ქვქ-
ვხი ხაბილხა. — ციხეს ვხი ყხ-
და, ვხს ყვრნ ვრცი. — ფყეხმა
იწვეღა, იწვეღა, ბოლოს ჭეხა
ხიხლი და დალოვხა. —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავისუფალი ხატვა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავისუფალი ხატვა.



# სიტყვების ახსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**აუარებელი**—უთვალავი, ურიცხვი, მრავალი.
**აფთიაქი**—საცა წამლებს ამზადებენ და ჰყიდიან.
**ბაგა**—გომურში კედლის წინ მიშენებული ადგილი საქონლის საჭმლის ჩასაყრელად; ბაგას ახლად ჩაყრილ ვაზსაც ეძახიან.
**ბარჯგი**—კაპიანი ჯოხი, ბოძი.
**ბეჩავი**—ბედშავი, უბედური.
**გულისხმა**—გაგება.
**დააზრობს**—გაყინავს.
**დავაგუგუნო**—დავმღერო.
**დო**—შედღვებილი, კარაქ მოხდილი მაწონი.
**ზვავი**—მთიდან ჩამოწოლილი თოვლის გროვა.
**ზაქი**—კამეჩის შვილი.
**თითა**—გრძელ მარცვლოვანი ყურძენი.
**თახჩა**—კედელში გამოყვანილი თარო.
**კომში**—ბია.
**კაშკაში**—ბრწყინვა, ბზინვა, ბრჭყვიალა.
**კოზაკი**—აქლემის შვილი.
**კალო**—ძნების სალეწი მრგვალი ალაგი.
**კორკოტი**—მოხარშული ხორბალი.
**კრიჟანგი**—მეტად ხელმოჭერილი, ძუნწი.
**ლაღად**—თამამად, გაბედულად.
**მოკურცხვლა**—გაქცევა.
**ნებივრობა**—თავის ნებაზედ—მოსვენება, თავის შექცევა.
**ნარი**—ეკლიანი ბალახი.
**ნეზვი**—დედალი ღორი.
**ნიკორა**—შუბლზე თეთრ ნიშნიანი საქონელი.
**პარკი**—პატარა ტომარა... არის აგრეთვე ბამბის პარკი, ლობიოს პარკი, ყაჭის პარკი.
**ჟამი**—დრო, საათი.
**რეჰანი**—შაშპრა, შაშკვლამა.
**სასტიკი**—ფიცხელი, ძლიერი, მძაფრი.
**საპყარი**—უფეხო, კუტი.
**სარქველი**—თავსახურავი, ხუფი.
**სიო**—მცირე ნიავი.
**სწორები**—ტოლები, ერთის ხნისანი.
**სტყორცნა**—ესროლა.
**უეცრად**—უცბად, მოულოდნელად.
**უხმო**—უჭმელი, უხემსო.
**ქამანჩა**—ცხენის ძუებით გამბული მშვილდი ჭიანურის საკრავად.
**ქაფქირი**—ქაფის მოსახდელი კოვზი.
**ქარავანი**—მწკრივ წყებად მიმავალი.
**ქაჩალი**—ვისაც თავზე თმა გასცვივნია სნეულებისგან.
**ქოცო**—პატარა ჭური, ქვევრი.
**ყოჩი**—მამალი ცხვარი.
**ჩამიჩი**—გამხმარი ყურძენი.
**ჩანახი**—კოდის მერვედი, ან $11^1/_4$ გირვანქა.
**ჩირი**—ხმელი ხილი.
**ციმციმი**—კამკამი, წყლის ზედა პირის ნელი რყევა.
**ჭანჭური**—კორკიმელი.
**ჭილი**—მაღალი ბალახი, რომლისგანაც ჭილობს ჰქსოვენ.
**ხაში**—საქონლის მოხარშული შიგნეული.
**ჯალაბობა**—სახლობა.
**ჯეჯილი**—მწვანედ ამოსული პური ან ქერი.
**ჯონჯოლი**—კაპარის ყვავილი წნილად ჩადებული.

**შენიშვნა**: ვიდრე წერა-კითხვის სწავლებას შეუდგებოდეს მასწავლებელი აუცილებლად საჭიროა, რომ მან თავდაპირველად გულდასმით გადაიკითხოს ეს წიგნაკი, **ალნიშნოს რა და რა** თვალსაჩინო ნივთები, ან სურათები იქნება საჭირო, შეადგინოს სრული კოლექცია, დაალაგოს წესრიგზე, რომ, საჭიროების დროს, საძებარი არ გაუხდეს და შემდეგ დაიწყოს სწავლება. თვალსაჩინოება და ბავშვის თვითმოქმედება უპირველესი საშუალებაა სწავლა—აღზრდის მიზნის განსახორციელებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 12 მანეთი.